საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA020114458381121

ქ. ბათუმი

№ 01/01/122 01 / ნოემბერი / 2021 წ.

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის N1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ პირებს უზრუნველყონ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის მომზადება და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისთვის (საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი) მიწოდება N1 დანართით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსება „საარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2013 წლის 16 დეკემბრის N086 ბრძანება „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამტკიცების შესახებ. “

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ იოსელიანი